№ 19 კვირა, 13 ივლისი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Мухранская 12, для журнала „ЛАХТИ". | ფასი 5 კაპ. № 19

ტრამვაის დირექციის თათბირი ბელგიაში

ტფილისის ტრამვაის გაფიცვის შესახებ.

მკითხველებს

ქუთათურ გაზ. ,,აზრის“ № 88-ში ამოვიკითხეთ წერილი სათაურით: „კიდევ შანტაჟისტები“, სადაც ხსენებული გაზეთი მოკლედ მოგვითხრობს შანტაჟისტების თავისუფალ ნავარდობას და აღნიშნავს, რომ: ყველა ეს ნაძირალები სოციალ-დემოკრატიის სახელით მოქმედებენო. თავისთავად ცხადია, რომ წერილის შინაარსი სიმართლეს არ არის მოკლებული.

ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა იცის, რომ დღეს, ისეთი მომენტი დადგა, რომ მუშა, მუშათა პარტია და სოც.-დემოკრატია, ეს ისეთი საუკეთესო იარლიკი შეიქნა, რომელიც შეიძლება ყველა კაცმა თავისუფლად მიიკრას შუბლზე (დამშლელი ვინ არის) და განსაკუთრებით ისეთ „კაცებმა“, რომელნიც მამონის ღმერთებზე ლოცულობენ, გროშისთვის სულს აძლევენ და სხვებს უქადაგებენ: პროლეტარიზაციაზე, კერძო საკუთრების მოსპობაზე და სომხების, რუსების, თათრების, ებრაელების, ბერძნების და სხვათა ვითომდა—შეერთება-სოლიდარობაზე: „მე პროლეტარი ვარ, მე მუშა ვარ, მე მუშათა გაზეთებს ვკითხულობ, მე მუშებს ინ უგრძნობ და ვინ მოსთვლის ამდენ ამისთანა მარგალიტ სიტყვებს აბნევენ გულუბრყვილო ხალხთა შორის. დღეს ლიბ-გასივებული ვაჭრებიც კი სოც.-დემოკრატობენ, ის ვაჭრები, რომელთაც მისწრაფებით მუშებთან საერთო არაფერი აქვთ ისე, როგორც ბატკანს მგელთან, მაგრამ ვაჭრები რა სახსენებელნი არიან,— ასე წარმოიდგინეთ, რომ ზოგი ერთი წიგნის გამომცემელი და ჟურნალის რედაქტორები მეტს უნარს იჩენენ, როგორც ვითომდა მუშების ინტერესების დამცველები. განა ცნობილი არ არის, რომ ადამიანი თავის თავზე ნაკლს ვერ ამჩნევს? განა ადამიანის რწმენა გულწრფელ მოქმედებაში არ უნდა გამოიხატებოდეს?!. ვიდრე ყალბ იარლიკ-რეკლამებში და ფარისევლობაში?! მაგრამ „რას მიქვიან გულწრფელობა! ჩვენ ფულის ხანაში ვცხოვრობთ, შემთხვევა დროზეა დამოკიდებული, ისარგებლეთ და გამარჯვებაც თქვენ დაგრჩებათ...“ ასე ფიქრობს ზოგიერთი ვითომდა მუშების მოსარჩლე ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი. ეს რომ ასეა, უტყუარ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად ავიღოთ თუნდა მაგალითად ჟურ. „მათრახი“ (უნდა გავახსენოთ პატივცემულ მკითხველს, რომ ეს ,,მათრახი‘‘ ის არ ეგონოს, რომელიც წინდა იუმორ. „ეშმაკის“ ხელმძღვანელობიდ გამოდიოდა.) განა გასულ კვირის ჟურ. ,,მათრახი‘‘ არ ამტკიცებს თავის უზნეობას და უწმაწურობას? განა თავიდან ბოლომდე ყალბი რეკლამა არ არის იგი? აი როგორის ლოლიკით აუწყებს იგი თავის მკითხველებს:—ჟურნალი „ლახტი“ სანაგველა არის, „ლახტი“ მამულიშვილების საყვირია, ის უწმაწური და უგუნურია, „ლახტის“ რედაქტორი საბრალო არსება არის, ისინი მუზმუზელები არიან, სომხების მტრები, ნაციონალისტები, გაიძვერები და სხვა ასეთი უწმაწური სიტყვები. აი როგორ ასაზრდოებენ მკითხველებს ეს უკაცრაული პასუხია ჩვენი დროის ქანქარისტები. ამ ტაკიმასხარულ სიტყვებს „მათრახის“ ერთი ყველასაგან კარგად ცნობილი თანამშრომელი ,,იუმორის‘‘ სახით ასაღებს. ასეთი უკბილო ,,იუმორი‘‘ ამ თანამშრომელს ხალხის სამსახური ჰგონია. ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს ასეთი კლოუნების ოხუნჯობა. მაშ ვაჭარი რის ვაჭარია, თუ სხვის თეთრს არ გააშავებს და თავის შავს არ გაათეთრებს? აბა მიჩვენეთ მაგალითი, რომ კაცმა თავისი ნაკლი თითონ აღნიშნოს?! მაგრამ ჩვენ სამწუხაროდ მხოლოდ ისა გვრჩება რომ დღევანდელ ჩვენს მდაბიო მკითხველებში ღრმა კრიტიკას ნაკლები ალაგი უჭირავს და ყოველი სიყალბე უნებლიეთ ეპარებათ. საკმარისია, რომ ჟურ. ,,მათრახის‘‘ ფურცლებზე გამოსახული ორი ეშმაკის სურათი დაინახონ, რომელიც ვიმეორებთ იმ ,,ეშმაკის‘‘ სახელით ასაღებენ, რომელიც ერთ დროს გამოდიოდა და დღეს კი აღარ გამოდის. თურმე ,,მათრახის‘‘ რედაქტორი და მისი ცნობილი თანამშრომელი იცით რას ეძახიან ჩვენს ,,ნაციონალისტობას‘‘? იმას, რომ თუ ჩვენ რომელიმე პლუტო-კულტურისანს (გაიხსენონ იშხანიანი), ანუ სომხის გაიძვერა რომელიმე ვაჭარს თაღლითობაში ანგარიში მოვთხოვეთ, ეს ამბავი ხსენებულ ჟურნალის რედაქტორ-თანამშრომელს ნაციონალური შოვინიზმი ჰგონიათ და თუ ასეთ გაიძვერა მგელ-ტურებს ხელს დავაფარებთ ეს კი ,,ინტერნაციონალური‘‘ სოლიდარობა ყოფილა'..

ჩვენ კი უნდა მოვახსენოთ პატივცემულ მკითხველებს, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ისეთი ფარისევლური როლის შესრულება, როგორსაც ,,მათრახის‘‘ კლოუნი ასრულებს. ჩვენ ყოველთვის ყველა გაიძვერას ანგარიშს გაუწევთ, სომეხი იქნება იგი, თათარი თუ ებრაელი,—ეს ჩვენთვის სულ ერთია. ეს ნაციონალისტობა კი არ არის, არამედ ეს ყოველ პატიოსანის და მიუდგომელი ადამიანის მოვალობაა.

მაგრამ ვთქვათ, რომ ჩვენც ყალბი იარლიკი მივიკარით შუბლზე და ხალხს ფარისევლურად ინტერნაციონალურ სოლიდარობაზე დაუწყეთ ღაღადი, როგორ გგონიათ ვითომ დაკმაყოფილდეს ,,მათრახი‘‘ ჩვენის არსებობით? სრულიადაც არა! ვინაიდან აქ საქმე რწმენაში და ინტერნაციონალიზმში კი არ არის, არამედ ბაზრულ ვაჭრობაშია საქმე; ჩვენ **ვარსებობთ** ეს ,,მათრახის‘‘ ზარალია, ჩვენ თუ არ **ვარსებობთ** ეს ,,მათრახის‘‘ ხეირია. აი ბატონებო ,,მათრახის‘‘ მუცლის ტკივილი ეს არის და ამით დაავადებული თავის განკურნებას ,,ლახტის‘‘ დამცირებით ლამობს. რას ვიზამთ რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცნებე

ცის ლაჟვარდის მეოცნებემ სოფლად ვერსად გავიხარე,
გამიტაცა ცის ფერიამ, ღრუბლების ჭავლს მოვეფარე.
ანგელოსთა სამეფოში, ცის სარკმელზე გავიხარე,
რა ვიხილე თვალწარმტაცი, მოელვარე კაშკაშ მთვარე.
ყველა ერთად... მის გარშემო იყო ლაღი პირ მცინარე
და იადონი, ფრინველთ მუზა, მისთვის იყო კვლავ-მყეფარე.

—

იქ ველირსე ჰიმნს ზეციურს, ტკბილის ხმითა აჟღერებულს,
იგი ჰიმნი დაატკბობდა ობოლს დედის მიტოვებულს,
აჩერებდა ზღვისა ტალღებს მრისხანებით აქაფებულს
და ურდული თვით ძვრებოდა საკანის კარს, დატყვევებულს.

—

იქ გალობდა აპოლონი, ჩანგს უსვამდა ბროლის თითებს,
დამღეროდა ტკბილ ნანინას ასფეროვან ღრუბლების მთებს,
იქ არწივი მძლავრად შლიდა მიწიურსა შეხუთულ ფრთებს,
იქ სიმართლეს მსახურებდენ ყველა ერთად... შვების ღმერთებს.

პლატონ კირვალიძე

სცენები ტფილისში

შენ შემოგევლოს მახარბელა კვაჭაძე, ნუ მათქმევინებ რაც სანახავი და ამბები მე ამ პატარა ხანში ვნახე, თვარა ვინცხა გაზეთში ჩამაგდებს და სულიან-ხორციანათ მოვიჯაყები კაკალი კაცი. ღმერთმა გაგიმრავლოს: თხა, ძროხა, ღორი, ქათამ-ინდოური თავისი: თიკან, ხბო, გოჭ, წიწილ-ჭუკიანათ, რავარც ჩვენში პოეტ-მწერალ, ჟურნალ-გაზეთები გამრავლებული იყოს, იმდენი სიმინდის კაკალი, რომ მომცა ამ გაჭირვებულ დროს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მარა ამდენი მლანძღველი, რომ ოჯახს გაუჩნდეს არ იფიქრო კასპიის ზღვიდან დაწყებული, შავ ზღვამდე მოყოლებული რაც წყლებია გაგრეცხოს; ძირიან-ფესვიან, ბუდიან-კერიან ზე გადმოგიტრიალებს ყველაფერს და მერე გალანძღულმა, გათათხულმა, მეზობლებში გამოჯაყულმა, თუ კაი ბიჭი ხარ გამოყავი თავი, კუჭზედ უნდა გასკდე კაკალი კაცი, მეტი რაღა საშველი გაქ... შენი ჭირიმე ნუ მათქმევინებ. თორემ, თორემ აი ჩვენი გ. თოიძე რომაა, რომლის გაჩენაზე ღმერთს ერთი აბშიკა მოსვლია; თავი ფეხების ალაგას გამოუკერებია და ფეხები თავის; ზურგს უკან ერთს ისეთს შემოგიკურთხებს, რომ..... შენი ჭირიმე ნუ მათქმევინებ; ისთევლე მისი ბრძნული რეჩობაის დამსწრე გახდი და შენმა ყურებმა იგემოს ის მარგალიტივით კაკალ-კაკალი სიტყვები, რაც მისი ბრძნული თავ-ფეხებიდან წამოდინდება. მართალია ეხლა ამ ღალოცვილ ქალაქში ძალუანი სიცხეები მოუჭირა, მარა ბ. გ. თ—ძეს რა უნდა გალაყებოდა არ ვიცი, რაც არ აქვს. თუ არა და რას უნდა მივაწეროთ აბა ეხლა აი ჩვენ: „მათრახმა“ ის გალანძღა „ცხენს ვერ შესწვდა და კეხს დაუწყო ტეხაო“ სწორედ ისთე შობა „ლახტს“ ეძგერა' მარა მოგეცა ლხენა და მას ბრეექა, ის გალახტული გარბოდა კუდ ამოძუებული. შენი ჭირიმე ნუ მათქმევინებ, გეხვეწები და გემუდარები, თვარა ხარფუხის ახალი მამასახლისები აშორდიის კვანტს გამოგდებს—რაფერ თქვას ჩემმა სულმა ცოდვილმა თვარა, თუ დასტრახვა გინდა, ან და ვიგრიშნი ბილეთების ჩაიმასქნა, მიმართე მამასახლის ჰ—ნიას, რომელიც სათვალეების ქვეშ ერთს გაგილიმებს და შავს თეთრად გაგისაღებს. ნუ მათქმევინებ შენი ჭირიმე, ნუ მათქმევინებ, თვარა გ. ‘ათირიშვილს განცხადება შემოაქვს გამგეობაში მისი გადადგომის შესახებ, ვინაიდგან ახალ მამასახლის გონგაძეს ნათვლამირონობის შემოღებით თავისი მონათლულ-გადანათლული გამგეს სკამზედ უნდა წამოასკუპოს. ნუ მათქმევინებ, ეხლა და შემდეგში ყველაყას ერთად დაგილაგებ.

სკანდარიკო.

დელეუანტი მსახიოგეგი

პროვინციებში.

დ. ლანჩხუთი. (გურია) აქაურ დრამ. საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა ამ ზაფგულს მართოს წარმოდგენები. მორიგ რეჟისორებად მოიწვიეს ვ. ასკურავა, ქ-ნი დიდიძის ასული, კ. ელენტი, ს. სანთელაძე და ა. ტუსკია. რეჟისორებმა ერთხმად გადასწყვიტეს; დაეთხოვონ თამბაქოს წევას და ეს ფულები მოახმარონ მხატვრული პიესების დადგმას.

რეჟისორები უკვე შეუდგნენ რეპერტუარის შემუშავებას. სამი დღის თათბირის შემდეგ უარ ჰყვეს ჰამლეტის დადგმა, რადგანაც შიგ არ აღმოჩნდა ხუთი ჰამლეტი და ოთხი

ოფელია. ეხლა აპირობენ „ოტელოს“ და „მეფე ლირის“ დადგმას. დაიწყეს დეკორაციების ხატვა ნახშირით.

რადგანაც ელოს და კოწოს რომანტიულმა სიყვარულმა ჩაილულის წყალი დალია, ამიტომ კანდიტერის მსვლელობამ ფეხი ილრძნა მიღებულია ზომები (რომ ხელ ახლა გაჩაღდეს საქმე)„ ტანგოს“ კაბებით „მოდნი“ ქოლგებით და აბრეშუმის სარუბაშკეებით.

ს. ᲐᲮᲫᲐᲜᲐ. (გურია) შაბათს 28 ივნისს ასკანის საზობადოებამ ახალ მოდის მსახიობს გ. შარაშენიძს გაუმართა ბენეფისი. საჩუქრათ მიართვეს 2000 ქანქარი და თხმელას ფურცლის გვირგვინი. წარმოდგენის დროს ხალხს ტკბილად ეძინა. კარგს იზამს ტფ. დრ. ს—ების გამგეობა რომ ყურადღებას მიაქცევდეს ამ მსახიობს, ვინაიდგან ბ. შარაშენიძის თავში ნიჭი სდეს.

ს. ᲑᲣᲥᲜᲐᲠᲘ. ითამაშეს „ბატონი და ყმა“ ხალხი წარმოდგენის დროს ხან იცინოდა—ხან სტიროდა. კარგი იყო მსახიობი: ს. ყურციძე გაბოს როლში, რომელიც სხვამ შეასრულა.

ს. ᲮᲔᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ადგილობრივმა გამგეობამ რეჟისორად მოიწვია მსახიობი ვ. სარელი ამ 1 თვის განმავლობაში უნდა დადგას 20 წარმოდგენა, ამიტომ ეხლავე შეუდგნენ სცენის-მოყვარეთა ძებნას. მსურველს შეუძლიან ჩაეწეროს ღობრების ყურეებში.

ს. ᲐᲥᲔᲗᲘ. მსახიობი ა. ჯაყელი გამართავს წარმოდგენას ხ. მგელაძის მონაწილეობით და დ. მგელაძის რეჟისორობით. რეპერტუარი „ადამ და ევა“, ევას როლს შეასრულებს დ. მგელაძე, ადამისას ა. ჯაყელი. რეპეტიციები ორი თვეა დაიწყეს.

Ქ. ᲩᲝᲮᲐᲢᲣᲠᲘ. ახლო მომავალში მსახიობი ს. ბოლქვაძე თავის საბენეფისოდ დასდგამს „ვეფხვის ტყაოსანს“ წაველას რეჟისორობით. ტარიელის როლს შეასრულებს ივანე დავითიჩი, ავთანდილისას მობენეფისე.

მასწავლებელ ვ. ასკურავამ ღმერთს აღთქმა მისცა, რომ ამიერიდან ღვინო არ დალიოს, და ნაცვლათ ხანდისხან გაერთოს არყით.

მსახიობ ვ. ურუშაძე უკვე მოურიგდა გურიაში დურგალს, რომელმაც უნდა გააკეთოს ისეთი კოლოფი, რომ მსახიობები და დეკორაციები თავის ბუტაფორიით შიგ ერთად იქნებიან დამწყვდეული. მოგზაურობას დაიწყებს ამ დღეებში.

მსახიობ ვ. გუნიას დაეკარგა მსახიობი ვ. ბარველი. ეძებენ დიოგენის ფანრით ღვინის სასმელ დუქნებში, მაგრამ ჯერ ჯნრობით ვერ აღმოუჩენიათ. ნიშნები: სიმაღლე 4 არშინი, სისქე 5 არშინი, მხარ-ბეჭი 2 არშინი. სილამაზე: არც თეთრი არც შავი. ვინც იპოვის საჩუქარს მიიღებს.

მსახიობ ს. ხერციძემ გადასწყვიტა, სოფლათ მასწავლებლებს წარმოდგენების ნებართვა აძლიოს და თვითონ არ დაესწროს, რადგანაც ისედაც კარგად მიდის წარმოდგენების საქმეო. **ᲒᲐᲨᲚᲘ.**

ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲐᲜ

თელავისა ზღუდესა შინა, სახელად ძველ-გალავნად წოდებულსა, სცხოვრობს კაცი ვინმე ღვთისა სახელად მიხეიდი. აღწერასა სიწმინდისა მისისა ცხოვრებისასა, სიქველეს მისსა და დიდ-ბუნებოვნისა სულისა მისისისა, უნდა დაშრეტელი ენა. ვინაიდგან კაცი ესე საკვირველ მოვლინებულ არს მხსნელად (მცარცველად) და მეოხად მცხოვრებთა ზღუდეთა შინა თელავისათა.

სულსა მისსა უზომოდ წმიდასა, უზომოდ კეთილსა, და უზომოდ ძლიერსა ჰფარავს სხეული ჰერკულესისა, და თავი ჭურჭელი დაუშრეტელისა სიბრძნისა მისა, მოგაგონებს თავსა უძლეველსა ჰირუტყვთა ბატონსასა.

აგერ რამდენიმე ათეულსა წელსა, კაცი ესე, საკვირველი განაგებს ბედ-იღბალსა თელავისასა და მცხოვრებნი მის ძლევამოსილ ფრთათა ქვეშე განიცდიან სრულსა ბედნიერებასა და ნეტარებასა ამა ქვეყნისასა: აქ არ არს არც ჩაგრული, არც მჩაგვრელნი, არც სომეხი, არც ქართველი, არც ქალი, არც კაცი და სამართალი მისი იწონება სისწორითა მართლმსაჯულისა „მეფისა სოლომონისა“.

მისისავე დაუღალავი შრომითა, სანახაობა ბედნიერებისა ქალაქისა ჰხიბლავს ადამიანის გულსა, ატყვევებს თვალსა, სისუფთავესა მარმარილო დაფენილს ქუჩებისასა, ვერ აღწერს ხელი: თვით გამადიდებელისა შუშითა, ვერ იპოვნით სურნელოვანსა ფხვრიელსა საყვნოსელად, თვით ამა საკვირველი კაცისთვის.

ალაგ-ალაგ შადრევნები ვერცხლის წყლის მჩქეფველნი, წარმოადგენენ საუცხოოსა სანახავსა.

ალაგ ალაგ ცივ-ცივი აუზები სა ბანაოდ ჩვილთა ყრმათა, სავსეა უკვდავებისა წყლითა. ამისა ნიშნად ერთმა ყრმამან, სახელად „მჯრტაჩმა“ ამა უკვდავებისა აუზსა შინა განუტევა სული და გადასახლდა სამეფოსა მას უკვდავებისასა.

დიდი არს მზრუნველობა ქალაქის პატრონისა, რომელიცა თვით ყრმათა და ჩვილთა არ აკლებს თავისსა მამობრივსა მზრუნველობასა.

ბაღი ქალაქისა თვალწინ გიხატავთ საოცნებო სიტურფესა ედემისასა, რომელშიაც წყვილწყვილად დასეირნობენ ძენი და ასულნი კოლხეთისა და სტკბებიან სიბინძურიან შეზავნებულისა ჰაერისა ყნოსვითა.

განათება ქალაქისა, თვით ღამეც კი მოგაგონებთ დღესა და თუ ბრმანი ამა ქვეყნისანი, თვით მარმარილოთ ნაგებ ქუჩებზედაც თავპირს იმტვრევენ, ეს არ შეადგენს დანაშაულსა ქალაქის თავისასა.

საკვირველსა კაცსა ამას ბატონსა და პატრონსა ქალაქ თელავისასა ახლავს ორი მოციქულნი, მარჯვენა ხელნი თვისისა ბრძანებელისა.

1) გიორგი, რომელსა წინააღმდეგ მცნებისა ქრისტესისა: „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი“ უარ უყვია სრულიად თავი თვისი და განმსჭვალულ არს უზომოითა სიყვარულითა მოყვასისათა.

2) ლევან, „ამოძახილი“ გიორგი მოციქულისა, მოწიწებით და გულმოდგინედ ავრცელებს მოძღვრებასა გიორგი მოციქულისასა, თავი თვისი შეუწირავს მოყვასისათვის: ჰქადაგებს უარყოფასა სამშობლოისას და საკაცობრიო სიყვარულსა, მხოლოდ თვით მეტის მეტისა შრომითა და ღვაწლითა დამსგზავსებულ არს ჩონჩხსა ბოჩკისასა.

აი, ეს კაცი, „მესსია“! თვისითა მოციქულებითა მოვლინებულ არს მხსნელად და მეოხად ჩვენდა და მცხოვრებნი ზღუდესა შინა თელავისასა, ხელ აღპურობილნი აღავლენენ მხურვალესა ლოცვასა, რათა მეუფემან განაძლიეროს ბატონობა მათი. **ᲨᲮᲐᲛᲘ.**

ყველაფერი აირია

(სცენა პუშკინის ბალში)

(სადმო ჟამია. სიცხისგან შეწუხებული ხალხი ბალშია გაფანტული, სხვათა შორის ერთ სკამზე სხედან ოთხი ერთი კბილის ვაჭარი: გალუსტა, ხეჩო, გასპარა, ბუღდანა და ბაყალი საქულა).

გალუსტა: საქულ! უზურში ამ დროებას არ უყურებთ... რა დრო დადგა?! ჰაი გიდი ძველო დროებავ! მე რომ ეხლანდელ ხალხს ვაკვირდები ცირკის კლოუნები მგონია, სად არის ძველებური აღებ-მიცემობა, ძველი ვაჭრები, ერთი ჩვენღა დავრჩენილვართ. დროება გადაბრუნდა, დროება! ჰაერიც რომ გამოიცვალა! ხან ძალზე ჩამოცხება ლამის ტვინი ადუღდეს და ხან კი ისე აცივდება გეგონება იანვარი არისო. კაცო!.. ჰარიატკაზე ალარაფერია და...

საქულა: (ბირს ადებს, უნდა დაამთოქნარის). ჰაერზე ნულარაფერს მეტყვი ჩემო გალუსტ! მთელი დღე სიცხისაგან პირი დამილია, რომ არ მრცხვენოდეს ფუქსს ვიყიდდი და იმითი დავიბერავდი. გუშინ საგარეჯოდან მოველი, იქ ცოტაოდენი გაცემული გროშები მაქვს და ვექსილები მქონდა გამოსაცვლელი, ხომ იცი ეხლანდელი დრო ალარავინ არის სანდო... ჰო იქიდან დილიჯნის ფული დამენანა, ცარიელ ფურგუნს შევხვდი იაფად და სულ დამანჯღრია. აქ ჩამოველ კიდევ და აყალ-მაყალი დამიხვდა: კონკები ალარ მუშაობენ, წადი და ათას საქმეზე და ხლაფორთებზე ფეხით იარე. კაცო! რას ატეხილან ეს ტუტუცები სამგლე გოჭებივით! ამ სიცხეში ციმბირი ხომ არ მოსდომებიათ! მერე რეებსა თხოულობენ კაცო!. იმათ მაგივრად მე მამდის ჯავრი, მე!..

გასპარა: (ნელის ხმით) მაშ?!.. რა გგონია საქულ, რაც ეხლა თითისტოლა ლაწირაკს ეშმაკობა აქვს, უწინ ასი წლისას არა ჰქონდა!.. ვერ უყურებ ყველამ გაიღვიძა, ყველა თავის ახსა თხოულობს, უწინდელი მიამიტობა ხომ არ არის, არც არიან გასამტყუნარნი, ყველაფერი გაძვირდა და ეგენიც მეტს თხოულობენ, ხალხი განათლდა, · ხალხი! ვერა ხედავ, გაზეთები სოკოსავით გამრავლდა!..

საქულა: (გაკვირვებით) კაცო! რეებს ამბობ, შენც ცოციალისტი გამხდარხარ და იმ სათოკეებს ამართლებ! კი არ განათლდნენ გადაირივნენ, ყველა ახალგაზრდა თავში დაკრულია, ეხლანდელი ლაპარაკი, ლაპარაკსღა ჰგავს, თითი უნდა დაიცო ყურში, თითი!..

ხეჩო: განა სიზმრათ დაგესიზმრებათ ისეთი აყალ-მაყალი, რაც ეხლა ხდება? უფროსობა ალარ არის და უმცროსობა. ბიჭისთვის ხმა ველარ გამიცია, ნება არა გაქვსო, ბიჭო და უწინ თუ მქონდა ნება, ეხლა ალარა მაქვს?! ჩემი ხაზეინი დღეში ათჯერ მცემდა და განა ხმის ამოღებას გავბედავდი!..

ბუღდანა: მე, რომ პირველად ღალოსთან მიმიყვანა ცხონებულმა მამა-ჩემმა ასე უთხრა: აბა ღალოჯან შენთვის ჩამიბარებია ჩემი ბუღდანა და შენ იცი როგორ კაცსაც გამოიყვანო. ეს იყო და ეს მეც ხმა ამოუღებლივ ვემსახურებოდი. ერთი ქუდი მიყიდა ცხონებულმა და მთელ შეგირდობაში ის მეხურა. ფეხზე ხომ ისეთი ხარაზის ჩუსტები მეცვა, რომ თითებიდან ორთაჭალა გამოჩნდებოდა. ყაირათსაც მაშინ შევეჩვიე. რამდენჯერ უთქვამს: წყალი დალიე ბიჭო გაიბერები, პურის ალაგს დაიჭერსო. დუქნის დაკეტვა იყო და ვინ იყო მოდავე, როცა გვინდოდა დავკეტავდით, როცა გვინდოდა გავაღებდით. რასაც უწინ დამპალ-დუმპალ ხილს ვასაღებდით, ეხლა ვინ გაჰყიდის, ვინ! თუ არა დარჩენილი მაშინვე გადაჰყრიან და პროტოკოლს დაადგენენ!

გალუსტა: ეს გაფიცა რაღა დოზანა არის!? ფიცი სუდში გამიგია საჩივარზე და არა მუშაობაზე. ბიჭო შე ყურუმსაღო, ვისაც არ გეყურება, თუ არ გინდა მუშაობა სხვას რაღას უშლი, თუ გინდა და დადექი შენ ქერქში, სჭამე ერთი ლუკმა პური ღმერთს მოუცია რაღა! ყველა ის რომ შევასრულო რასაც მთხომ შე არამზადავ, ბარემ ხაზეინი შენ იყავი რაღა!..

საქულა: არეულობის აქეთია ჭკუაზე ალარა ვარ, ერთი ბრახუნი რომ მესმის შიშით გული მისკდება, ყველაფერი ბომბა მგონია! ეხლა არის და ბაქოში ბუნტობენ დალამის შიშით სული ფრჩხილებში გამეპაროს. ვფიქრობ უწინდელივით აყალ-მაყალი არ ასტყდეს. ტანისამოსი ვერ გამომიცვლია, ქუდია და ალარ მახსოვს როდის ვიყიდე, რომ

თხოულობენ საიდან, განა ხაზეინები ფულსა სჭრიან!..

ხეჩო: კაცო ქრისტიანები არა ხართ, სწორედ იმ დროს გვაკეტინებენ დუქნებს, როდესაც ვაჭრობის დრო არის! ეს ნორმის დასვენება არისო, გუშინ კინალამ ბიჭი დუქანში გამომიმწყვდიეს, ეს ნორმა რაღა ჯახრუ-ჯანაბა არის! უწინ რომ ესენი არ ვიცოდით ვერა ვცხოვრობდით, ბარაქაც მაშინ იყო და დოვლათიც!.. არა ბიჭს რა დასვენება უნდა რა საცალოები ჰკიდია თუ რა არის? გინდა სახლში მჯდარა გინდა დუქანში. დასვენებით უფრო დაზარმაცდნენ და ბაღებში დაეხეტებიან მათუშკებთან. ახ! ერთი ჩემ ხელში იყვეს და მე ვაჩვენებ დასვენება როგორიც უნდა! (ამ დროს ერთი ახალგაზრდა ნოქარი გაიგდის).

საქულა: ცოტა ხმა დაბლა თორემ იმ სათოკეს ვერა ხედავ, კოციალისტობს, ღმერთი მაგას არა სწამს და ხატი. მთელი ქარვასლის ბიჭები მაგან გადარია, ერთი თავზე ხელ აღებულია, ხვალვე გაზეთში ჩაგვაგდებს, ვერ უყურებთ რეებსა ჩხაპნიან! სად იყო უწინდელ დროში ესენი, აფსუსი არ იყო ყარამნიანის წიგნები!..

გალუსტა: ქვეყნის ბოლოა, ქვეყნისა, ყვლაფერი აირია! (ამ სიტყვებთან ერთად ფოხიკანი გადიან ბაღიდან)

პეტრუშა.

ლეში

I*)

ბატონი პოლიკარპე ძველი დროის ინტელიგენტია; მღვდლის შვილმა სასულიერო სემინარია დაასრულა, მღვდლობა არ ისურვა; „დასელთა“ ჯგუფში ჩაეწერა, თმა მოუშვა, ხელში მსხვილი ჯოხი მოიმარჯვა და მკერდ-გაშვერილი ცხოვრების ასპარეზზე საბრძოლველად გამოვიდა.

კაცმა მართალი უნდა სთქვას: თავის ახალგაზრდობის მეათედი ხანა მაინც ციხესა და სატუსაღოებში გატარა, თმა უდროვოდ გაუთეთრდა.

ცოლშვილს ადრე მოეკიდა. ჯერ ოცდა ექვს წლის ჭაბუკს მოეწონა შორეულ მეზობლის შავთვალ-წარბა ეშხიანი ელიკო. ელიკოს შეუყვარდა ლამაზი და ჭკვიანი ახალგაზრდა, ჯვარი დაიწერეს. შვილები ერთი მეორეს მოჰყვა.

ელიკო სოფელში სცხოვრობდა, ქმრის ოჯახში; ოჯახობდა, შვილებს ზრდიდა თავისუფალ ეზო-გარემოში და გაშლილ ჰაერზე; პოლიკარპე კი მეტეხის ციხის კედლებზე ხშირად ბუზებს ითვლიდა და რაღაც შენიშვნებს სწერდა. მოხუცი მამა და ახალგაზრდა ცოლი ციხის კარებს არ შორდებოდნენ: ან გუბერნატორისა, ან ჟანდარმების უფროსისა, ან ვინმე გავლენიანის კარებზე ქალალდით ხელში და გულ-გადალეულნი ელოდებოდნენ რიგსა...

თვეები და წელიწადები ასე გადიოდნენ...

პოლიკარპე თავის ცოდნის სალაროს ჯფრო აფართოვებდა: ცოდნას და გამოცდილებას იძენდა, სამეცნიერო წიგნებს სულ ძირი გადაუბრუნა, არ დარჩენია არც ერთი მოძღვრება, რომ ზედ-მიწევნით არ შეესწავლოს. საწყალ ელიკოს თავის სახელის მოწერა-კი ახსოვდა, რადგან ქმრის დასახსნელ სათხოვრებზე ხშირად უხდებოდა ხელის მოწერა, თორემ დანარჩენ, ყველაფერი დაავიწყდა, ცხოვრებას ჩამორჩა, ერთისა და იმავე აზრის ფიქრმა გონება დაუჩლუნგა, თვალში სინათლე გამოულია და ტანზე ხორცი შემოაჭკნა

— ღმერთო, შენ მაღირსე ის ბედნიერი დღე, ექვსი თვე ერთად მაცხოვრე ჩემ პოლიკარპესთან, გაუყრელად, ბედნიერად და მერე, თუ გინდა მომკალი!

ასე ევედრებოდა ღმერთს ელიკო.

II

— ელიკო, სად წავიდენ ბავშვები? დაუძახე ყველას, და აქ დაჯექით, გიყუროთ ცოტა ხანს. რას დაფუსფუსებ? იმ ოხერ ვახშამს გოგოც კი გააკეთებს,—უთხრა მოსულმა პოლიკარპემ ცოლს, ხელში ხელი მოჰკიდა და ახლოს დაისვა; უნდოდა ხელი წელზე მოეხვია, მაგრამ რაღაც უღონოდ ძირს დაუშვა ხელი; თვალებში ჩააჩერდა, თითქოს უნდოდა იქიდან თავისი მომავალი განაჩენი ამოეკითხა. მერე თავადვე აევსო ცრემლით თვალები, პირი მოარიდა ელოს.

— პოლიკარპე! რა იყო, რა გატირებს?! ვაი ჩემი სიკვდილი—ავად ხომ არა ხარ?..—შეეკითხა ცოლი მზრუნველობითის კილოთი;—დაღალული იქნები, მიწექ, შენი ჭირიმე.

— არა, ელიკო, არა. ბავშვებს დამიძახე და აქ დაჯექი ჩემთან, მერე სტუმრებიც მოვლენ, მერე მატარებელიც მოვა და, ხომ იცი—უნდა გავყვე.

— საით პოლიკარპე?

— ქალაქს...

— დედავ! პირველი მატარებელს ამოჰყევი და მეორეს უნდა გაჰყვე?

ელიკოს გამხდარ სახეს ზაფრანას ფერი დაედო...

— უნდა გავყვე, ელო!

— მერე რაღად მოდიოდი? გაისტუმრებდი რაღაც საქმე გქონდა და მერე მოხვიდოდი...

— ვერ დავდექ: ისე მომენატრეთ ბავშვები, შენ... ისე, რომ—ფიქრი და წამოსვლა ერთი იყო, ცხვირსახოციც კი არ გამომყოლია...

— ღმერთო მომკალი ეხლა, რა გორ უნდა გამიძლოს მე, უბედურს, გულმა, სული როგორ უნდა მედგეს: მთელი წელიწადი თვალით ვერ გხედავ, ახლა დაგინახე და ეს რასა ჰგავს?

— ელიკო, შენი ჭირიმე, ახლა უნდა წავიდე, არ შეიძლება. ორი კვირის შემდეგ ჩამოვალ.

უთხრა და პირი ფანჯრისკენ მიიბრუნა...

— პოლიკარპე არ მოუკვდეს ჩემს-თავს, მეც ახლავე სამგზავრო ჩემოდანს ავიღებ და მოვდივარ, ღმერთი არ გწამს.

პოლიკარპე შეაჩერეს ამ სიტყვებმა... მსწრაფად მობრუნდა.

*) ეს მოთხრობა დაბეჭდილი იყო გაზ. „დილაში“ 1911 წ. საჭიროდ დავინახეთ გადმოგვებეჭდა ჟურ. „მათრახის“ ერთი თანამშრომლის საყურადღებოდ.

— ელიკო, რას ამბობ, ბავშვი ხომ არა ხარ? ან პირველად ხომარს მივდივარ? ოთხი შვილის დედასას ასე ყმაწვილობა შეჰფერის? ბავშვებს რას უშვრები?.. გეუბნები: ორი კვირის შემდეგ მოვალ და სამთვეს დავრჩები;—ნატაშა, ა. ნატაშა! სად დარბიხართ! მოიყვანე კოლა, ბაბო, გრიშა, ყველან აქ მოდით!—გადასძახა ფანჯარიდან ათის წლის გოგოს, რომელიც თამაშ-თამაშით ეზოში გარბოდა.

ელიკო ერთხანს უსიტყვოდ მიაჩერდა ქმარს, გული აემღვრა, თვალთაგან ორი მსხვილი ცრემლი გადმოუგორდა და გამხდარ ლოყებზე კრიალით წამოვიდა. საჩქაროდ თვალებზე ხელი მიიფარა და ოთახიდან გავიდა. პოლიკარპემ თვალი გაადევნა, ერთი მძიმედ ამოიოხრა; თანაც სახეზე ხელი მიიფარა და გაირინდა. ცოტა ხნის შემდეგ სიცილ-კისკისით სახლში ბავშვები შემოცვივდნენ და სიხარულით მამას კისერზე მოეხვივნენ. ვინ კალთაში უჯდებოდა, ვინ კისერზე ეკიდებოდა. მოხუცი მღვდელიც, პოლიკარპეს მამა, შემოვიდა ჯოხის ბჯენით... შვილს მიესალმა, თავის ძველ სავარძელში მძიმედ დაჯდა.

ეს იყო და ეს—ელიკოს ქმრისთვის სიტყვა აღარ შეუბრუნებია.

საღამოს სტუმრებმა მოიყარეს თავი; ყოველთვის ასე იცოდა კუთხე-მეზობლებმა, როცა პოლიკარპე ჩამოვიდოდა. ვახშამი კარგი გაიმართა: ღამის სამ საათამდის ისეთი ქეიფში იყვნენ, სულ ჭერში ქუდსა სცემდნენ. პოლიკარპეს მხიარულობა კი ყველას აჭარბებდა: ჩვეულებრივი არ იყო იმისი არც ღვინის სმა, არც სიმღერა—ყველაფერს თავდავიწყებით ეძლეოდა, თითქოს რაღაც ჩუმ ნადველს ჰლესავდა.

სამ საათზე ხალხის მატარებელმა ჩამოიარა. პოლიკარპემ გრძნობით დაჰკოცნა ცოლ-შვილი, წაღმა დატრიალდა, მატარებელში ჩაჯდა და თან გაჰყვა.

III

პოლიკარპეს წასვლის შემდეგ არ გასულა ორი კვირა, მეხის დამცემი წერილი მიიღო ელენემ ქმრისაგან. კითხვის დროს თვალთ დაუბნელდა, მუხლები მოეჭრა და გულშელოდნებული იქვე ჩაიკეცა.

როგორც იყო მოასულიერეს, გონზე მოიყვანეს, მაგრამ დიდხანს ლოგინი აღარ აურეკია, უარესად გახდა: დადნა, აჩრდილს დაემსგავსა. გაორკეცებულის გრძნობითა და სიყვარულით მოეკიდა ბავშვებს, მხოლოდ ისინი იყვნენ ელენეს სიცოცხლის საგანი და მისწრაფებანი.

წყნარი ბუნების ადამიანი, ეხლა სრულებით მოდუნდა, თითქოს დამუნჯდა: მთელი დღე ხმას აღარ ამოიღებდა.

მოხუცი გაბრიელიც გამოიცვალა იმ დღიდან, რა დღესაც წერილი მიიღეს. მოტყდა, თითქოს დაძაბუნდაო, ჩქარა მოხუცდა და ისიც გულ-ჩათხრობილი გახდა... იმისი იმედი პატარა ბავშვები-ღა იყვნენ: ცრემლ-მორეულის თვალებით შესცქეროდა შვილის-შვილებს; უფროსს კოლას, იმედით შეხედავდა. მომესწარი, ბაბუა, მომესწარი გენაცვალოს ჩემი თავი. შვილმა თუ დამჩაგრა, კაცობა შემირცხვინა და ოჯახი დამინგრია—შენ მაინც გაახარე უბედური დედა შენიო.

მეზობლები ჩურჩულებდნენ და ათას ნაირს რასმე უამბობდნენ ერთმანერთს.

— ასე ეკადრება ელიკოს, ამ სულელს ამას. დაუჯდა მამამთილს გაბრიელს, რა მაგის მწყესვა უნდოდა!..

იტყოდა ერთი მეზობელი.

— სამწყესავი თურმე ქმარი ყავდა—უმატებდა მეორე.

— ქალი ქმართან გაუჩენია ღმერთს, ეს აქ წამოჯდა, ის სულ ეშმაკებში, რა თქმა უნდა ვისმე გადაეკიდებოდა, აბა როგორ იქნებოდა.

— დაიჟინებთ რაღაცას. სად წაჰყოლოდა, ციხეებში ეცხოვრა მაგასაც... და ქალაქში სიმშილით მომკვდარიყო?

— მაშ იჯდეს ახლა ესე და ამეიქინჯოს თვალები ტირილით. პოლიკარპეს აწყინოს გათქვირებულმა კნიაჟნამ...

— მართლა თავადიშვილის ქალი ყოფილა და მერე როგორი—არ იკითხავთ?..

— ღმერთმა დასწყევლოს იმის ულინიდისო თავი: ცოლ-შვილიან კაცის მეტი ვერავინ ნახა?

— ამის რა მოგახსენო და პოლიკარპე-კი, მოჯამაგირედ ეკადრება თურმე. მერე ოჯახის შვილი, ამბობენ.

— უი, უი, იმას დაუდგეს თვალები! მერე კაცი ვერ იშოვნა? რაღა ამ კონტლებიანს გადაეკიდა?..

ასე მსჯელობდა კუთხე-მეზობელი; პირში არას აგონებდნენ ელიკოს და, რაც შეეძლოთ, ვითომ ანელებინებდნენ დარდს, მაგრამ ერთხელ სასიკვდილო გულს რაღა გაჰკურნავდა.

პოლიკარპე უკუღმა დატრიალდა და მართლაც უკუღმა იყო მისი საქმე წასული. განზრახ მივიდა მაშინ სახლში, რომ სამუდამოდ გამოთხოვებოდა ცოლ-შვილს, კუთხე-მეზობელს, ყოველივე ძველთან გაეწყვიტა კავშირი და ახალი სიყვარულის მორევში შეცურებულს ახალი ცხოვრება დაეწყო. ეს საქმე ასე მოხდა. არც ცა, არც ღმერთი, არც წყაროს ჩხრიალი, ყვავილთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი, კაშკაშა მთვარე, ციაგი ვარსკვლავები, გინდ მწვანე ტყე, არც ერთი არ ყოფილა დამნაშავე, ამათგან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა. ეს ოცნების ნავთ-საყუდარნი სრულიად უმართლო იყვნენ ამ საქმეში.

მ. გარიყული.

(დასასრული იქნება)

სუსხიანი ამგეგი

✦ გაზ. „აზრის“ რედაქცია ძალიან გაუბრაზებია „ამხანაგ“ რუს სოც.-დემოკრატთა ცილის წამებას: ვითომ კავკასიელი სოც.-დემოკრატები ამ ბოლო დროს „გაავტონომისტ-გაფედერალისტებულიყვნენ“ ამისათვის გაზ. „აზრის“ რედაქციას გადაუწყვეტია მთელ ქართველ სოციალ-დემოკრატიას თავი მოუყაროს და მდ. რიონში ხელმეორედ დანათლოს და სიტყვა „ქართველი“ თავის ლექსიკონიდან ამოშალოს. მირონს წმ. ფილიპე მახარობელი

სცხებს მარტოვ-ლენინის თანადასწრებით.

✦ წარსულ კვირის „თეატრსა და ცხოვრებაში“ „სინათლის“ ავტორის ი. გედევანიშვილის წერილი იყო მოთავსებული, რომელითაც ემდურება გ. რობაქიძეს, რატომ დაიწუნე ჩემი პიესა, „სინათლე“, როდესაც ქართველი საზოგადოება აღტაცებით მიეგებაო.

ამაზე გულისფანცქალით ველოდებოდით გრ. რობაქიძისაგან პასუხს, რასაც ვკითხულობთ „სახ. ფურ.“ მე-33 ნომერში. მართლაც, ეს ისეთი ფილოსოფიური პასუხი იყო, რომ ვერაფერი ვერა გავიგეთ რა, რადგან იქ მრავალი უცხო სიტყვებია ნახმარი მაგ. ლოგიური ჭეშმარიტება, აბსტრაქციული თქმულება, ირრაციონალი სინამდვილე, აფრთოვანება, განწევრება, ობიექტივი, ალეგორია და მრავალი სხვა.

კარგს იზამს „სახ. ფურ.“ რედაქცია, როდესაც გ. რობაქიძის წერილს ბეჭდავდეს, თან დაურთოს მცირე ლექსიკონიც, თორემ ჩვენში ფილოსოფოსები არ მოიპოვებიან.

წერილი რედაქციას

ბ. რედაქტორო! ნება მოგვეცით თქვენი ჟურ. „ლახტის“ საშუალებით გამოვაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ ლანჩხუთის რკინის გზის მუშები გულისწყრომას ვუცხადებთ დოროჟნი მასტერს სიმონ ფირცხალაიშვილს. ვერ წარმოგვიდგენია რაში იმართლებს თავს ეს ვაუბატონი, განა დაავიწყდა ის დრო როდესაც მუშებს ადგილიდან აძევებდა? თანაგრძნობას ვუცხადებთ მუშების ინტერესების დამცველს კორესპონდენტ თა—რას, რომელმაც გამოამზეურა მისი საქმენი საგმირონი. ვუსურვებთ თა—რას მეტ ენერგიას და პირდაპირობას, რომ კვლავაც გამოამზეუროს ასეთი ვაუბატონების საქმენი საგმირონი.

ხელს აწერს 6 კაცი.

ბ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი კაზეთის საშუალებით ვუწყო პატივცემულ მკითხველ საზოგადოებას და სამსახურში დარჩენილ ჩემს ამხანაგებს, რომ ბ. ბ. მაკაგარიანის საქმენი საგმირონი ოფველივე ადამიანურ მოქმედების საზღვრებს გადაცილებულია. ის სულ უმიზეზო, ქუჩაში ერეკება ცოლშვილიან მოსამსახურეებს, არ ერიდება არავითარ სამარცხვინო საქციელს, მისი მოქმედებები სიცილდება ოფველივე უზნეოს მოქმედებასაც. რამდენი ჩამოგთვალო მისი საგმირო საქმენი სულ უმიზეზოდ დაითხოვა კონდუქტორი ალმამამთავრიშვილი, და სხვებიც. დამითხოვა მე სულ უმიზეზოდ, წარმოიდგინეთ ავადმყოფ ადამიანს არ მომცა თავისუფლება (ბილეთი მტკიცდა) მე აქომ. მოხმახა რადაც, რადაც არა საკადრისი ჭორები და უფროს ჩამასმინა, ვითომ მე ზარმაცი ვიყო, კუდდიდა, არ ვემორჩილებოდე მის ბრძანებას. რაც კა მოიხსტება თურმე ეგაში, რომ ჯარის კაცსავით ჩესტი უნდა ავიდო და ოფველ მის უადაგო და უშინაარსო მოთხოვნაზე „მესმის თქვენო ადმატებულებავ“ მეძახა. მაშ დამისახელოს ბ. ბ. მაკაგარიანმა, თუ ოფიცერ ჩემს ცხოვრებაში ისეთი მაკადითი, რომ ვინმეს უზრდელად მოვქცეოდე ან ვინმე კამეფანძდოს ან ვინმესთან უკანონულად ვფოფილიყავი მე ხომ ბეტრე მაკაგარიანი არა ვარ ბაუაეთ ვიბერებოდე ხარს დავემგზავსოვო. ეხლა ეს იკმარეთ და შემდეგში მზად ვარ მთელი თქვენი ეპისტოლე ცხოვრებისა ვაუწყო საზოგადოებას თუ არ დაასახელებ ამ ბრალდებს, რის კამოც მე დამითხოვეთ.

ვითხოვთ ერთ-ერთ რუსულ კაზეთს კადაბეჭდოს ეს.

გრიგოლ ლუკას ძე შავდია.



„ხარფუხის საზ. კლუბის“ ხოხობი. „ხარფუხის საზ. კლუბის“ „შანტეკლერი“.

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ა. რედაქტორ-გამომცემელი დ. მელაშვილი.